საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1728/01
23/02/2022

1728-01-2-202202231048

შპს „ბი ბის“

მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით ყიფიანის ქ. 23, ბინა №30

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №1001 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის მოწყობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს დასარგავი ნერგების რაოდენობა, თითო ნერგის მოსარწყავად დღე-ღამეში საჭირო წყლის რაოდენობა და ასევე თვეების მიხედვით ნერგების მორწყვის ჯერადობა. ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს სკრინინგის განცხადების №2 ცხრილში მითითებულ ინფორმაციას თვეების მიხედვით აღებული წყლის რაოდენობის შესახებ და წლის განმავლობაში გამოსაყენებელი წყლის ჯამურ მოცულობას;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის წარმოდგენილი და დაზუსტებას საჭიროებს თვეების მიხედვით სამარაგო რეზერვუარის შევსების ჯერადობა;
- წარმოდგენილი დოკუმენტის „დაგეგმილი საქმიანობის აღწერის“ თავში მითითებულია, რომ მდ. ჩხაიადან ტუმბოს მეშვეობით სარწყავად აღებული წყალი, მილსადენების გავლით, შეგროვდება რეზერვუარში, რომელიც განთავსდება მიწის ქვეშ. დაზუსტებას საჭიროებს სამარაგო რეზერვუარის ტიპი (პოლიეთილენის, ბეტონის, გრუნტის და ა.შ.), მიწის სამუშაოებისას გამოყენებული ტექნიკის, თხრილის სიგრძის, სიღრმის, დიამეტრის, ნიადაგზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, ასევე სამშენებლო სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი ნიადაგის/ გრუნტის შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის აღწერილი და განხილული გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება;.
- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს სარწყავი სისტემის შემადგენელი მილების პარამეტრები;.
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს წყალაღების წერტილიდან საპროექტო ხაზობრივი ნაგებობის დერეფნის დეტალური აღწერა, სიტუაციური რუკის თანდართვით;
- წარმოდგენილ დოკუმენტში, „დაგეგმილი საქმიანობის აღწერის“ თავში მითითებულია, რომ „დაახლოებით 20 მარტს, ბაღში მხოლოდ ერთხელ მოხდება

სასუქის შეტანა, ერთ ძირ ლურჯ მოცვზე მაქსიმუმ 6 ლ წყლით, რაც ჯამში შეადგენს 360 $მ^2$ წყალს“. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას.

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს რა ფართობზეა დაგეგმილი სამელიორაციო სისტემის მოწყობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე